ვიზების გაცემის ახალი წესები (01.03.2011)

საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებული შეთანხმების ახალი წესები, რომლებიც ძალაშია 2011 წლის 1 მარტიდან

"ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ" შეთანხმების მიზანია გაამარტივოს საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის გაცემის პროცედურა, რაც ითვალისწინებს ყოფნას არა უმეტეს 90 დღისა თითოეულ ჯერზე, 180 დღიანი მთლიანი პერიოდიდან.

ეს შეთანხმება არ ეხება შემდეგ სახელმწიფოებს: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, დანიის სამეფო, ისლანდიის რესპუბლიკა, ნორვეგიის სამეფო, შვეიცარია, ლიხტენშტაინი.

შეთანხმება განსაზღვრავს ვიზების გაცემასთან დაკავშირებულ რიგ გამარტივებულ პროცედურას. ეს პროცედურები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. აუცილებელი საბუთები

ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების პირებს მგზავრობის მიზნების დასასაბუთებლად მხოლოდ შეთანხმებაში ხსენებული დოკუმენტების წარმოდგენა მოეთხოვებათ.

უცვლელი რჩება ზოგადი მოთხოვნა, რომ განმცხადებელი პირადად უნდა გამოცხადდეს, რათა წარმოადგინოს სავიზო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები, მაგ. მოგზაურობის პერიოდში საკუთარი თავის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებების დამადასტურებელი საბუთები. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი, მაგ. მგზავრობის მიზნის, სამშობლოში დაბრუნების სურვილისა და მისთ. დაკავშირებით, განმცხადებელი შეიძლება დაბარებულ იყოს დამატებითი დეტალური გასაუბრებისათვის საელჩოში / საკონსულოში და მოეთხოვოს დამატებითი საბუთების წარმოდგენა.

ა) ახლო ნათესავები - მეუღლე, შვილი (მათ შორის შვილობილი), მშობლები (მათ შორის მეურვეები), ბებია-ბაბუები და შვილიშვილები, რომლებიც შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს სტუმრობენ:

• მასპინძელი პირის წერილობითი მოთხოვნა

ბ) ოფიციალური დელეგაციების წევრები, რომლებიც საქართველოში გამოგზავნილი ოფიციალური მოწვევის საფუძველზე მონაწილეობას მიიღებენ

შეხვედრებში, კონსულტაციებში, მოლაპარაკებებში, გაცვლით პროგრამებში, ასევე შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში:

• საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული წერილი რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებელი ოფიციალური დელეგაციის წევრია და

• ევროკავშირის ინსტიტუტის ან წევრი სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი ოფიციალური მოწვევის ასლი;

გ) მოსწავლეები, სტუდენტები, ასპირანტები და თანმხლები მასწავლებლები, რომლებიც მიემგზავრებიან სწავლის ან სასწავლო ტრეინინგში, მათ შორის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, ასევე სხვა სასწავლო ან სასკოლო საქმიანობაში მონაწილების მიზნით:

• წერილობითი მოთხოვნა ან
• ცნობა მიმღები და საქართველოს უნივერსიტეტიდან ან
• სტუდენტის ბილეთი ან იმ სასწავლო კურსების სერტიფიკატი, რომლებშიც აღნიშნულმა პირებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ;

დ) პირები, რომლებიც მიემგზავრებიან მკურნალობის მიზნით და ის პირები, რომელთა თანხლებაც აუცილებელია:

• იმ სამედიცინო დაწესებულების ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ დაწესებულებაში სამედიცინო მკურნალობის გავლის აუცილებლობას, თანხლების აუცილებლობას და სამედიცინო მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას;

ე) ჟურნალისტები და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები აკრედიტებული პირები:

• პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული სერტიფიკატი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ შესაბამისი პირი არის კვალიფიციური ჟურნალისტი ან რომ თანმხლები პირი სამსახურეობრივ მოვალეობებს ასრულებს და
• დოკუმენტი, გაცემული მისი დამქირავებლის მიერ, რომელიც ადასტურებს, რომ მგზავრობის მიზანია ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება ან ამგვარ საქმიანობაში დახმარების გაწევა;

ვ) საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე პირები და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები პირები:
• წერილობითი მოთხოვნა წევრ სახელმწიფოთა მასპინძელი ორგანიზაციის (ეროვნული სპორტული ფედერაციების ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების) მხრიდან;

ზ) მეწარმეები და კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები:
• წერილობითი მოთხოვნა მასპინძელი იურიდიული პირის ან კომპანიის, ორგანიზაციის ან ოფისის ან ასეთი იურიდიული პირის ან კომპანიის ფილიალის, ან საორგანიზაციო კომიტეტის ან წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე გამართულ სავაჭრო ან სამრეწველო გამოფენების მხრიდან, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სახელმწიფო სარეგისტრაციო პალატის მიერ;

თ) შესაბამისი პროფესიით დაკავებული პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში და სხვა მსგავს ღონისძიებებში, რომლებიც იმართება შენგენის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე:

• წერილობითი მოთხოვნა მასპინძელი ორგანიზაციიდან, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას შესაბამის ღონისძიებაში;

ი) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიემგზავრებიან წევრ სახელმწიფოებში სასწავლო ტრეინინგებში, სემინარებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად:

• წერილობით მოთხოვნა მასპინძელი ორგანიზაციისგან, დადასტურება იმისა, რომ ხსენებული პირი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას და ამგვარი ორგანიზაციის დაარსების დამადასტურებელი საბუთი გაცემული ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისი სარეგისტრაციო ორგანოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო, კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში, მათ შორის საუნივერსიტეტო და სხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში:

• წერილობითი მოთხოვნა მასპინძელი ორგანიზაციისგან;

ლ) მძღოლები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების მომსახურებას წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საქართველოში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით;

• წერილობითი მოთხოვნა ეროვნული კომპანიიდან ან საქართველოს გადამზიდველთა გაერთიანებიდან, სადაც მოცემული უნდა იყოს მგზავრობის მიზანი, ხანგრძლივობა და სიხშირე;

მ) დაძმობილებული ქალაქებისა და მუნიციპალური ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ოფიციალური გაცვლითი პროგრამების მონაწილები:

• შესაბამისი ქალაქების ადმინისტრაციის უფროსის / მერის წერილობითი მოთხოვნა;

ნ) სამხედრო და სამოქალაქო საფლავების/სასაფლაოების მოსანახულებლად მიმავალი პირები:

• ოფიციალური საბუთი, რომელიც ადასტურებს საფლავის არსებობას და დაცულობას, ასევე განმცხადებელსა და დაკრძალულს შორის ნათესაური ან სხვა ურთიერთობების დამადასტურებელი საბუთი;

რას წარმოადგენს წერილობითი მოთხოვნა?

მოწვეული პირისათვის: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, პასპორტის ნომერი, მგზავრობის დრო და მიზანი, შენგენის ტერიტორიაზე შესვლის რაოდენობა, და მოწვეული პირის თანმხლები არასრულწლოვანი ბავშვების სახელები.

მომწვევი პირისათვის: სახელი, გვარი, მისამართი.

მომწვევი იურიდიული პირისათვის: სრული სახელი და მისამართი, მოთხოვნის ხელმომწერი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მოქმედი/დაფუძნებული კომპანიისათვის მისი სარეგისტრაციო ნომერი.

2. სავიზო მომსახურების საფასური

სავიზო განაცხადის დამუშავების საფასური შეადგენს 35 ევროს.

ამ საფასურით ისარგებლებს საქართველოს ყველა მოქალაქე და ის ერთნაირია ყველა ტიპის შენგენის ვიზისათვის, შენგენის ტერიტორიაზე შესვლის რაოდენობის მიუხედავად.

ვინაიდან გადასახადი შეესაბამება სავიზო განაცხადის დამუშავების ადმინისტრაციული ხარჯებს, მისი გადახდა უნდა მოხდეს სავიზო განაცხადის წარგენისას და ვიზაზე უარის მიღების შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

სავიზო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 19), იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენტური საკონსულო დაადგენს, რომ სავიზო განაცხადის დაკმაყოფილება დაუშვებელია, სავიზო მოსაკრებელი უნდა ანაზღაურდეს;

როდესაც შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფო თანამშრომლობს გარე სამსახურთან, შეიძლება დაირიცხოს დამატებითი გადასახადი, რომელიც უნდა იყოს გაწეული მომსახურების პროპორციული და არ უნდა აღემატებოდეს 30 ევროს.

შენგენის ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაძლებლობა იმისა, რომ ყველა განმცხადებელს შეეძლოს განაცხადის პირდაპირ საკონსულოში წარდგენა;

3. გათავისუფლება სავიზო მოსაკრებელისაგან

გარკვეული კატეგორიის პირები თავისუფლდებიან სავიზო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან, ესენია:

ა) პენსიონერები;

ბ) 12 წლამდე ასაკის ბავშვები;

გ) ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა, საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოების წევრები, იმ შემთხვევებში თუ ისინი წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად არ თავისუფლდებიან ვიზით სარგებლობის ვალდებულებისაგან;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და საჭიროების შემთხვევაში მათი თანმხლები პირები;

ე) ახლო ნათესავები - შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქის მეუღლე, შვილი (მათ შორის შვილობილი), მშობლები (მათ შორის მეურვეები), ბებია-ბაბუები და შვილიშვილები.

ვ) ოფიციალური დელეგაციების წევრები, რომლებიც საქართველოში გამოგზავნილი ოფიციალური მოწვევის საფუძველზე მონაწილეობას მიიღებენ შეხვედრებში, კონსულტაციებში, მოლაპარაკებებში, გაცვლით პროგრამებში, ასევე შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში;

ზ) მოსწავლეები, სტუდენტები, ასპირანტები და თანმხლები მასწავლებლები, რომლებიც მიემგზავრებიან სწავლის ან სასწავლო ტრეინინგში, მათ შორის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, ასევე სხვა სასწავლო ან სასკოლო საქმიანობაში მონაწილების მიზნით;

თ) ჟურნალისტები და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები აკრედიტებული პირები;

ი) საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე პირები და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები პირები;

კ) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიემგზავრებიან წევრ სახელმწიფოებში სასწავლო ტრეინინგებში, სემინარებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად;

ლ) პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო, კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში, მათ შორის საუნივერსიტეტო და სხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში;

მ) პირები, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ ჰუმანიტარული საფუძველით მათი მგზავრობის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ გამგზავრება მკურნალობის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში მათი თანმხლები პირები, ან პირები რომლებიც მიემგზავრებიან ახლო ნათესავის დაკრძალვაზე ან მძიმედ ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად;

ამას გარდა, ცალკეულ იდივიდუალურ შემთხვევებში დიპლომატიური მისიებისა და საკონსულოებს შეუძლიათ მოხსნან ან შეამცირონ მოსაკრებელი.

4. მრავალჯერადი (მაქსიმუმ 90 დღე ყოველი 180 დღიანი პერიოდის განმავლობაში) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედი ვიზების გაცემის კრიტერიუმები.

ა) 5 წლამდე ვადით მოქმედი მრავალჯერად ვიზები, შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის:
- მეუღლე და 21 წლამდე ასაკის ბავშვები (მათ შორის ნაშვილები), მშობლები რომლებიც შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს სტუმრობენ
- ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოებიის წევრები, და
- ოფიციალური დელეგაციების მუდმივი წევრები, რომლებიც, საქართველოში გაგზავნილი ოფიციალური მიწვევის საფუძველზე, რეგულარულად მიიღებენ მონაწილეობას შეხვედრებში, კონსულტაციებში, მოლაპარაკებებში ან გაცვლით პროგრამებში, ასევე ღონისძიებებში, რომლებიც ორგანიზებულია შენგენის წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მიერ

ბ) 1 წლამდე ვადით მოქმედი მრავალჯერად ვიზები, შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის:
- ოფიციალური დელეგაციების წევრები,
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები,
- იმ პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო, კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში, მათ შორის საუნივერსიტეტო და სხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში და რეგულარულად მგზავრობენ წევრ სახელმწიფოებში,
- სტუდენტები და ასპირანტები,

- მუნიციპალიტეტების / ქალაქების პარტნიორობის პროგრამების მონაწილეები,
- პირები, რომლებსაც რეგულარულად ესაჭიროებათ გამგზავრება მკურნალობის მიზნით და იმ პირებს, რომელთა თანხლებაც აუცილებელია;
- ჟურნალისტებს და სამსახურეობრივი სტატუსით მათი თანმხლები აკრედიტებულ პირებს;
- მეწარმეებს და კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც რეგულარულად მგზავრობენ შენგენის წევრ სახელმწიფოებში;
- პროფესიონალი მძღოლები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების

იმ პირობით, რომ წინა 12 თვის სავიზო განაცხადის წარმდგენელს მიღებული აქვს მინიმუმ ერთი ვიზა, რომელიც მან გამოიყანა შენგენის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და გაჩერების მოთხოვნების შესაბამისად და მრავალჯერადი ვიზის მოთხოვნის მიზეზები კვლავ ძალაშია.

გ) 2 წლიდან 5 წლამდე (ბ) პუნქტში ნახსენები კატეგორიებისათვის იმ პირობით, რომ წინა 2 წლის განმავლობაში მათ გამოიყენების ერთ წლიანი ვიზა შენგენის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და გაჩერების მოთხოვნების შესაბამისად და მრავალჯერადი ვიზის მოთხოვნის მიზეზები კვლავ ძალაშია.

5. სავიზო განაცხადის დამუშავების პროცედურის ხანგრძლივობა:

პასუხს სავიზო განაცხადზე ვიზის მთხოვნელი მიიღებს არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა სრული სავიზო განაცხადისა და თანდართული საბუთების ჩაბარებიდან. თუ დიპლომატიური წარმომადგენლობებას ან საკონსულო დაწესებულებებას გააჩნია სავიზო განაცხადის ჩაბარებისათვის შეხვედრის წინასწარი დანიშვნის პროცედურა, დრო შეხვედრის დანიშვნიდან მის ჩატარებამდე არ ჩაითვლება სავიზო განაცხადის დამუშავების პერიოდის ნაწილად.

ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 30 დღემდე, იმ შემთხვევაში თუ საჭიროა საბუთების დამატებითი შესწავლა. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების ვადა შეიძლება შემცირდეს 2 დღემდე ან ამაზე ნაკლებ დრომდე.

6. გამგზავრება დაკარგული ან მოპარული დოკუმენტების შემთხვევაში:

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის დროს დაკარგავს პირადობის დამადასტურებელ საბუთებს ან ვისაც მოპარავენ ასეთ საბუთებს, უფლება აქვს დატოვოს ტერიტორია დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო

დაწესებულებების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე ყოველგვარი ვიზის გარეშე.

7. ვიზის გაგრძელება განსაკუთრებულ შემთხვევებში:

იმ შემთხვევაში, თუ ფორს მაჟორის ან ჰუმანიტარული მიზეზები ხელს უშლის საქართველოს მოქალაქეს დროულად დატოვოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორია, ვიზა უფასოდ იქნება გაგრძელებული დაბრუნებისათვის აუცილებელი ვადით.

8. **გათავისუფლება ვიზისაგან:**

საქართველოს დიპლომატიური პასპორტების მფლობელ პირებს ეძლევათ უვიზო მიმოსვლის საშუალება, 90 დღით ყოველი 180 დღიანი პერიოდის განმავლობაში.

savizo kodeqsi

1. რა არის "შენგენის ვიზა"?

25 სახელმწიფო ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფოდან იყენებს რეგულაციას [1] 539/2001 და ახორციელებს სრულ საერთო სავიზო პოლიტიკას, რომელიც სცილდება იმ მესამე ქვეყნების სიას, რომელთა მოქალაქეები ევროკავშირში ჩასვლისას ექვემდებარებიან სავიზო ვალდებულებას. ბულგარეთზე, კვიპროსსა და რუმინეთზე ვრცელდება რეგულაცია [1] 539/2001, მაგრამ არა სავიზო კოდექსი (რეგულაცია 810/2009).

"შენგენის ქვეყნები" არიან: გერმანია, ავსტრია, ბელგია, დანია, ესპანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, პოლონეთი, შვეიცარია და მალტა.

ერთ-ერთ ამ ქვეყანაში გაცემული ვიზა მოქმედებს, პრინციპში, არა მხოლოდ მისი გამცემი ქვეყნისათვის, არამედ შენგენის სხვა ქვეყნებშიც.

სავიზო სტიკერზე, რომლის ფორმატიც ერთნაირია შენგენის ყველა ქვეყნისათვის, აღნიშნულია, რომ ვიზა "მოქმედებს შენგენის სახელმწიფოებში". ალფანუმერული კოდები ასევე მიუთითებენ ქვეყანას, რომელშიც ვიზა იყო გაცემული.

შენგენის ვიზის გაცემის პროცედურები და პირობები განსაზღვრულია ევროპის თანამეგობრობის სავიზო კოდექსში [ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეგულაცია 810/2009, გამოქვეყნებული ამ ორგანოების ოფიციალურ ბეჭდვით გამოცემაში, L 243 /1, 15 სექტემბერი 2009 წ.].

2. რა კატეგორიები გააჩნია შენგენის ვიზას?

ევროპის თანამეგობრობის სავიზო კოდექსში განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის ვიზები (სავიზო კოდექსი).

მოკლევადიანი ვიზა: ეს **"C" ტიპის ვიზა** იძლევა უფლებას შენგენის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გაჩერებისა ან ტრანზიტისა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში. იგი გაიცემა ერთი, ორი ან რამდენიმე ვიზიტის უფლებით. მისი მოქმედების ვადა სხვადასხვაგვარია.

აეროპორტის სატრანზიტო ვიზა ("A" ტიპის ვიზა, როგორც მითითებულია სავიზო სტიკერზე). ეს ვიზა ესაჭიროებათ გარკვეული მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც ახორციელებენ ფრენას სხვა მესამე ქვეყანაში, მაგრამ აქვთ გაჩერება ან გადაჯდომა შენგენის სახელმწიფოს აეროპორტში.

ამ გაჩერების ან გადაჯდომის დროს, შესაბამისი პირი უნდა დარჩეს აეროპორტის საერთაშორისო სატრანზიტო ზონაში, შესაბამისი შენგენის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის გარეშე.

3. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნების ვიზებს, რომლებიც არ არიან შენგენის ქვეყნები?

კვიპროსი, ბულგარეთი და რუმინეთი კვლავ ეროვნულ ვიზებს გასცემენ. ეს ნიშნავს, რომ ეს ვიზები მოქმედებს მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის მოკლე პერიოდის განმავლობაში.

<u>პრაქტიკული მაგალითი</u>: კვიპროსის მიერ გაცემული მოკლევადიანი ვიზა მხოლოდ კვიპროსში ყოფნის საშუალებას იძლევა. ამის შემდეგ შენგენის სახელმწიფოში ჩასასვლელად საჭიროა ასევე შენგენის ვიზა, ხოლო ევროკავშირის სხვა შენგენის არა-წევრ სახელმწიფოში ჩასავლელად, მაგალითად, ბულგარეთისათვის, ასევე აუცილებელია ბულგარეთის ვიზაც.

კვიპროსის, რუმინეთის და ბულგარეთის სატრანზიტო გადაკვეთასთან დაკავშირებული განსაკუთრებული შემთხვევები (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები რომლებიც არ არიან სრულად ინტეგრირებული შენგენის ზონაში)

2008 წლის გადაწყვეტილებით, ევროპის პარლამენტმა და ევროპის საბჭომ დაადგინეს ევროკავშირის გარე საზღვრებთან პირების კონტროლის გამარტივებული რეჟიმი, რაც ბულგარეთის, კვიპროსის და რუმინეთის მიერ მათ ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის გარკვეული დოკუმენტების მათი ეროვნულ ვიზების თანაბარი ძალის ცალმხრივ აღიარებას გულისხმობს; მიღებულ იქნა ჰარმონიზებული ზომები შენგენის ვიზებისა და შენგენის ტერიტორიაზე ცხოვრების ნებართვის მფლობელთათვის ევროკავშირის სხვა არა-შენგენის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის სატრანზიტო გადაკვეთის გასამატივებლად.

4. სად შემიძლია ავიღო ვიზა?

ვიზის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი ძირითადი დანიშნულების შენგენის სახელმწიფოს საკონსულო სამსახურს. საზღვრებზე ვიზები გაიცემა მხოლოდ გამონაკლის და სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში.

თუ გსურთ გაჩერდეთ ერთ ან მეტ შენგენის სახელმწიფოში, განაცხადი უნდა წარმოადგინოთ იმ სახელმწიფოს საკონსულოში, რომელიც თქვენი მგზავრობის ძირითად დანიშნულების ადგილს წარმოადგენს.

<u>პრაქტიკული მაგალითი:</u> თუ გსურთ იმოგზაუროთ ევროპაში სამი კვირის განმავლობაში, აქედან გაატაროთ ორი კვირა იტალიაში და ერთი - საფრანგეთში, თქვენ უნდა მიმართოთ იტალიის საკონსულოს.

ზოგჯერ რთულია ძირითადი დანიშნულების ადგილის განსაზღვრა, მაგალითად, როდესაც მოგზაური გეგმავს ზედიზედ რამდენიმე დაახლოებით თანაბარი ხანრძლივობის მოკლე გაჩერებას სხვადასხვა შენგენის სახელმწიფოებში. ამ შემთხვევაში, უნდა მიმართოთ იმ სახელმწიფოს საკონსულოს, რომლის საზღვრის გადაკვეთისას თქვენ პირველად შედიხართ შენგენის ზონაში.
<u>პრაქტიკული მაგალითი:</u> ბიზნესმენი გეგმავს ვიზიტს ევროკავშირში, ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში საქმიან პარტნიორებთან შესახვედრად; თითოეულ ქალაქში ის აპირებს გაჩერდეს ერთი ან ორი დღე. ევროკავშირის პირველი ქალაქი რომელში ჩასასვლელადაც მან ამ მოგზაურობისათვის ბილეთი დაჯავშნა არის ფრანკფურტი, საიდანაც იგი აპირებს გააგრძელოს თავისი მოგზაურობა. ამ შემთხვევაში, ვიზის ასაღებად მან უნდა მიმართოს გერმანიის საკონსულოს.

შენგენის არა-წევრ ერთ ან მეტ სახელმწიფოში ჩასასვლელად, თქვენ უნდა მიმართოთ თითოეული იმ ქვეყნის საკონსულოს სადაც თქვენ გეგმავთ ჩასვლას.

5. რა უნდა გავაკეთოთ ვიზის მისაღებად?

მინიმალური მოთხოვნები ქვემოთაა მითითებული. თქვენ უნდა:
• შეავსოთ და ხელი მოაწეროთ სავიზო განაცხადის ფორმას. შენგენის ქვეყნები იყენებენ სტანდარტული ანკეტების ფორმას, რომელიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე. ფორმა უფასოა და მისი მიღება შეგიძლიათ საკონსულოში.
• წარმოადგინოთ ძალაში მყოფი პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა იწურება შენგენში თქვენი ყოფნის დასრულებიდან მინიმუმ 3 თვის შემდეგ.
• აღწეროთ თქვენი ვიზიტის მიზნები და გარემოებები - იხილეთ პუნქტი I.1 - იმ საბუთების სია, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის პირებს მგზავრობის მიზნების დასასაბუთებლად მოეთხოვებათ;
• მიუთითოთ რა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას გეგმავთ;
• წარმოადგინოთ ფინანსური გარანტიები – მტკიცებულება იმისა რომ გაგაჩნიათ საკმარისი საარსებო საშუალებები შემოთავაზებული მგზავრობისა და საქართველოში დაბრუნებისათვის (მაგალითად: ცნობა ფინანსური საშუალებების შესახებ, მოგზაურობისას კერძო სახლში ცხოვრების დადასტურება ან მოწვევა ფირმის ან დაწესებულებიდან);
• წარმოადგინოთ დადასტურება იმისა, რომ დაგეგმილი მოგზაურობისათვის გაგაჩნიათ მინიმუმ 30 000 ევროს დაფარვის მქონე სამოგზაურო დაზღვევა.

შესაბამისი შენგენის ქვეყნების საკონსულოებში თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დეტალური ინფრომაცია სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა ტიპის ვიზებისათვის საჭირო საბუთების შესახებ.

6. რა კრიტერიუმებზეა დაფუძნებული განაცხადის განხილვა და საკონსულოს გადაწყვეტილება?

საკონსულო განიხილავს და ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერ დოკუმენტაციას. ეჭვის ან გაუგებრობის შემთხვევაში, განმცხადებელი შეიძლება დაბარებულ იყოს დამატებითი დეტალური გასაუბრებისათვის საელჩოში / საკონსულოში და მოეთხოვოს დამატებითი საბუთების წარმოდგენა. სავიზო განაცხადის განხილვისას აუცილებელია რომ საკონსულო დარწმუნდეს, რომ განმცხადებელი მგზავრობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. საკონსულო ასევე გადაამოწმებს, რომ განმცხადებელი არ არის რეგისტრირებული შენგენის საინფორმაციო სისტემაში (SIS), როგორც პიროვნება რომელსაც ეკრძალება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა ან რომელიც წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

7. რატომ სვამს საკონსულო პასპორტში ბეჭედს შენგენის ვიზაზე განაცხადის შეტანის პროცესში?

სავიზო კოდექსი ითვალისწინებს, რომ საკონსულომ რომელიც იღებს სავიზო განაცხადს ბეჭედი უნდა დასვას განმცხადებელს პასპორტში. პასპორტში ასეთი ბეჭედი დაისმება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განაცხადი მისაღებად ჩაითვლება. ბეჭდის შტამპი, ალფანუმერული კოდების მეშვეობით, მიუთითებს თუ რა ტიპის ვიზა იყო მოთხოვნილი საკონსულოსაგან, რომელ შენგენის სახელმწიფოს წარმოადგენს საკონსულო და თარიღს.

პასპორტში ბეჭდის დასმის ძირითადი მიზანია სხვა საელჩოების ინფორმირება, რომ სავიზო განაცხადი უკვე ჩაბარებულია, რათა თავიდან ავიცილოთ სავიზო განაცხადების პარალელურად სხვადასხვა საკონსულოებში ჩაბარება.

8. შეიძლება თუ არა მოქალაქეს შენგენის ტერიტორიაზე შესვლაზე უარი ეთქვს მოქმედი ვიზის შემთხვევაშიც კი?

ევროპის თანამეგობრობის კოდექსში, რომელიც განსაზღვრავს უცხოელი მოქალაქეების მიერ საზღვრებს გადაკვეთის წესებს [გამოქვეყნდა ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს ოფიციალურ ბეჭდვით გამოცემაში, OJ L 105 13 აპრილი 2006წ.] დადგენილია შენგენის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლის წესები. სწორი პასპორტისა და ვიზის ფლობა (მესამე ქვეყნების მოქალაქეების შემთხვევაში, რომელთაც ვიზა მოეთხოვებათ) წარმოადგენს მხოლოდ ორი პირობას შენგენის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლის აუცილებელ პირობათა შორის.

იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებს განმცხადებელი შენგენის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლის აუცილებელ პირობებს, თავდაპირველად ამოწმებენ საკონსულოები – სავიზო განაცხადის განხილვის დროს. ვიზის გაცემა გულისხმობს, რომ საკონსულოს მიიჩნია, რომ ვიზის გაცემის დროისათვის შენგენის ტერიტორიაზე შესვლის პირობები დაკმაყოფილებული იყო.

ამ პირობების ხელმეორედ შემოწმება ხორციელდება როდესაც, პიროვნება უშუალოდ წარსდგება შენგენის წევრი ქვეყნის გარე საზღვარზე (სახმელეთო,

საზღვაო საზღვარზე ან აეროპორტში). თუ სასაზღვრო პოლიცია ჩათვლის, რომ ვიზის მფლობელი პირი არ აკმაყოფილებს შენგენის ტერიტორიაზე შესვლის პირობებს (მაგალითად: მას არ გააჩნია აუცილებელი საარსებო საშუალებები შენგენის ტერიტორიზე ყოფნის პერიოდისათვის), ხსენებულ პიროვნებას შეიძლება უარი ეთქვას შენგენის ტერიტორიზე დაშვებაზე, პასპორტში ვიზის ქონის შემთხვევაშიც კი.

<u>მნიშვნელოვანია</u>: ვიზის მფლობელმა თან უნდა იქონიოს საბუთები რომლებიც ადასტურებს იმას, რომ ის აკმაყოფილებს შენგენის ტერიტორიაზე შესვლის პირობებს, რათა მას შეეძლოს ამ საბუთების წარმოდგენა ევროკავშირის საზღვარზე შემოწმებისას.

9. არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული პროცედურა, რომელიც უნდა დავიცვათ იმ ევროკავშირის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოსვლის შემდეგ, რომელიც არის ან არ არის შენგენის ხელშეკრულების წევრი?

შენგენის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის ხანგრძლივობა არის ის პერიოდი, რომელიც აღნიშნულია სავიზო სტიკერზე (აღინიშნება დასაშვები ყოფნის დღეების რაოდენობა, რომელიც აითვლება საზღვრის გადაკვეთისას პასპორტში დასმულ ბეჭედში მითითებული თარიღიდან). არ არის საჭირო შენგენის სახელმწიფოში ცხოვრების ნებართვის მიღება იმ პერიოდისათვის რომელიც უკვე დაფარულია ვიზით.

ზოგიერთი შენგენის წევრი და არა წევრი სახელმწიფო მოითხოვს, რომ ვიზის მფლობელებმა ჩასვლიდან გარკვეული ვადის განმავლობაში შეატყობინონ ამის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

მიზანშეწონილია რომ მგზავრებმა დააზუსტონ ამის აუცილებლობა სავიზო განაცხადის შეტანისა და საზღვრის გადაკვეთის დროს.

10. იძლევა თუ არა ვიზა მუშაობის უფლებას?

შენგენის მოკლევადიანი ვიზა არის ვიზა, რომელიც ძალაშია შენგენში ხანმოკლე ყოფნის პერიოდისათვის, სავიზო სტიკერში მითითებული ვადით.

თუ გსურთ, რომ შენგენში ხანმოკლე ყოფნის პერიოდში განახორციელოთ ეკონომიკური საქმიანობა, თქვენ უნდა გაიაროთ რიგი კონკრეტული პროცედურები მუშაობის ნებართვის მისაღებად.

მნიშვნელოვანია: ***დაუშვებელია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, კერძო ან ოჯახური საჭიროებებისათვის ან ტურიზმისათვის გაცემული შენგენის ვიზით მოგზაურობისას. ასეთი საქმიანობის განხორციელებამ შეიძლება სანქციები გამოიწვიოს.***

11. შემიძლია გავაგრძელო ვიზა ევროპაში ყოფნის დროს?

შენგენის მოკლევადიანი ვიზის გაგრძელება ევროპაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი. მისი ხანგრძლივობა არავითარ შემთხვევაში არ აღემატება შენგენის ვიზის მაქსიმალურ ხანგრძლივობას (სამი თვე ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში).

თუ საქართველოს მოქალაქე დაადგენს, რომ იგი ვერ ახერხებს დატოვოს შენგენის წევრი სახელმწიფოს ტერიტორია ვიზაში მითითებული თარიღისათვის ფორს მაჟორის მიზეზით, ვიზა უფასოდ იქნება გაგრძელებული დაბრუნებისათვის აუცილებელი ვადით მასპინძელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. პუნქტი I.7.).

12. შემიძლია მივიღო ევროპაში ცხოვრების ნებართვა?
შენგენის ვიზა გაიცემა ევროკავშირში მოკლევადიანი ყოფნისათვის. შენგენის ვიზის გამოიყენება ევროპაში ყოფნისას ბინადრობის ნებართვისათვის მოთხოვნის მიზნით, არის შენგენის ვიზის ბოროტად გამოყენება. რეალურად გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ევროკავშირში ცხოვრების ნებართვაზე უარი ითქმება.

13. თუ თქვენი სავიზო განაცხადზე უარყოფითი პასუხი მიიღეთ:

შემიძლია გავარკვიო უარის თქმის მიზეზი? 2011 წლის აპრილიდან სავიზო კოდექსი შენგენის ქვეყნებს ავალდებულებს (მუხლი 32) შეატყობინონ განმცხადებელს სავიზო განაცხადზე უარყოფითი პასუხის მიზეზი.

შემიძლია ამ პასუხის გასაჩივრება?
2011 წლის აპრილიდან სავიზო კოდექსი შენგენის ქვეყნებს ავალდებულებს (მუხლი 32) უზრუნველყონ განმცხადებლები სავიზო განაცხადზე უარყოფითი პასუხის გასაჩივრების საშუალებით. შენგენის სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განმცხადებლები ინფორმაციით გასაჩივრების პროცედურის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სავიზო განაცხადზე უარი მეთქვა, შემიძლია თუ არა ახალი განაცხადის გაკეთება?
პრინციპში, სავიზო განაცხადზე უარყოფითი პასუხს არ გააჩნია სამომავლო ზეგავლენა, ვინაიდან თითოეული სავიზო განაცხადი უშუალოდ მისი ავ-კარგიანობის მიხედვით ფასდება. აქედან გამომდინარე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საკონსულოებმა ყოველი ვიზის მოთხოვნა უნდა შეაფასონ წარმოდგენილი განაცხადის ფორმის, დამხმარე დოკუმენტაციისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.